ხვალ, 15 თებერვალს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXX ყრილობა

# ფიზკულტურული სალამი საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 32 (5062)

1974 წ. 14 თებერვალი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ღცდამეათე...

საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ტარდება. დარბაზში, სადაც ხშირად იკრიბებიან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, დეპუტატები. ამჯერად კომკავშირის წინა ყრილობიდან დღემდე განვლილ პერიოდში ჩატარებულ მუშაობას შეაჯამებენ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები.

კომკავშირელთა ამ დიდი ფორუმისთვის ემზადებოდა რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობა, ემზადებოდა მისი ავანგარდი — კომკავშირი. საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები შრომასა და სწავლაში, კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მოპოვებული წარმატებებით ხელდამშვენებული ხვდებიან თავიანთ ყრილობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ქართველი ახალგაზრდობა, მისი რჩეული დელეგატები რესპუბლიკის კომპარტიას უპატაკებენ თავიანთი საქმიანობის შესახებ, ილაპარაკებენ იმ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შეინიშნება მათ მუშაობაში, ერთხელ კიდევ გულდასმით გააანალიზებენ მომავლის გეგმებს.

ჩვენს ახალგაზრდობას კარგად ესმის სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების მნიშვნელობა. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის თითოეული დებულება, თითოეული სიტყვა რესპუბლიკის კომკავშირელებმა სამოქმედო პროგრამად დაისახეს.

ქართველ სპორტსმენებს არაერთი წარმატება მოუპოვებიათ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია მხურვალედ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი და საბჭოთა ხალხისადმი.

კომკავშირის ყრილობის დელეგატთა შორის ბევრი მოწინავე სპორტსმენი და ფიზკულტურელია. მათ ეს პატივი დიდ სარბიელზე მოპოვებული გამარჯვებებით დაიმსახურეს. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი, წლების მანძილზე დაუმარცხებელი ფალავანი ლევან თედიაშვილი, ცნობილი ტანმოვარჯიშეები რუსუდან სიხარულიძე და პაატა შამუგია, ახლო წარსულში რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო სამთომთხილამურე, ამჟამად მესტიის ალკკ რაიკომის პირველი მდივანი ბორის კახიანი და სხვები.

გვჯერა, რომ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები კვლავაც იქნებიან ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ბრძოლის ავანგარდში, რომ ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენები კვლავაც გაგვახარებენ ახალ-ახალი წარმატებებით.



გ. იაშვილის ნახატი.

## სპორტული ჩოხატაური

თითქმის ყველა საშუალო და 8-წლიანი სკოლის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ტურნირში. საშუალო სკოლების გუნდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I — ჩაისუბნის, II — ჩოხატაურის 1-ელი, III — საჭამიასერის სკოლები. დაფების მიხედვით გაიმარჯვეს: პირველ დაფაზე — შ. ჩხიკვაძემ (ჩოხატაურის 1-ელი სკოლა), მეორეზე — ს. კუტუბიძემ (ხიდისთავი). 8-წლიანი სკოლების შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავეს ბუკნარის, II — გოგოლესუბნის, III — ნაბეღლავის წარმომადგენლებმა. პირველ დაფაზე ყველას აჯობა გ. ქლენტმა (საჯება), მეორეზე — კ. ცხომელიძემ (ბასილეთი). საშუალო სკოლების მოჭადრაკე გოგონათა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ნ. ჩხიკვაძემ (ჩაისუბანი), 8-წლიანი სკოლების წარმომადგენლებში — მ. კალანდაძემ (ნაბეღლავი).

• • •

ამას წინათ მოეწყო რაიონული პირველობა, რომელშიც 12 საშუალო სკოლის კალათბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ. საბოლოოდ გაიმარჯვეს ჩოხატაურის 1-ელი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. II ადგილი ხვდათ ჩაისუბნის, III — ბუკისციხის წარმომადგენლებს.

• • •

მაგიდის ჩოგბურთელთა რაიონულ პირველობაში ყველას ჩაისუბნის გუნდმა აჯობა. 8-წლიანი სკოლების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ფარცხმელელებმა.

დ. ბურბუნიძე,
ჩოხატაურის რაიონის სოფ. კოხნარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## მოსკოვი მასპინძლობს უძლიერეს მძლეოსნებს

გუშინ მოსკოვში, ძმები ზნამენსკების მძლეოსნურ მანეჟში სტარტი მიეცა სსრ კავშირის ზამთრის ღია ჩემპიონატს, რომელშიც მასპინძლების გარდა ევროპის რამდენიმე ქვეყნისა და იაპონიის წარმომადგენლებიც გამოვლენ. ამ სპორტული სარბიელის რეკორტანის სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე გამარჯვებისთვის ბრძოლა გაჩაღდება მძლეოსნობის 20 სახეობაში. სულ იასპარეზებს 700 სპორტსმენი.

მონაწილეთა შორის არიან ცნობილი მძლეოსნები, მიუნხენის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი, საბჭოთა სპრინტერი ვ. ბორზოვი, ოლიმპიური ჩემპიონები ი. ტარმაკი, ნ. ავილოვი, ახლახან მოსკოვში გადასული ფ. მელნიკი, მიუნხენის თამაშებში სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული, რუმინელი ვ. ვისკოპოლიანუ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მტყორცნელი ქალი მ. ადამი (გდრ) და სხვ.

ჩემპიონატი დაასახელებს სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრებს, რომლებსაც ასპარეზობა მოუწევთ სსრკ — აშშ-ს მატჩში (2 მარტი, ამავე მანეჟში) და ევროპის პირველობაში (გეტებორგი, 9-10 მარტი).

## [illegible]-74

● სტოკჰოლმი, 12 თებერვალი. მოსკოველი ზ. რუდნოვა პირველობდა ევროპის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა ყოველწლიურ საკლასიფიკაციო ტურნირში. მან 9 გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ ერთში დამარცხდა. უძლიერესთა სამეულში მოხვდნენ მ. ალექსანდრუ (რუმინეთი) და ი. მაგოშიც (უნგრეთი).

● შიაულიაი, 12 თებერვალი. ამ ქალაქის სპორტულ დარბაზში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში 30 წლის ზ. სკაპასმა ბირთვი 19 მეტრსა და 43 სანტიმეტრზე ჰკრა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს სსრ კავშირში დახურულ დარბაზებისთვის.

## ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

# ეს საქმე უნდა მოგვარდეს

„უკანასკნელ ხანს თბილისში ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ამის მიუხედავად, დაბალია სპორტის წამყვან სახეობათა განვითარების ტემპი, ხოლო ცალკეულ სახეობებში (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ფრენბურთი, კალათბურთი და სხვები) სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. ჯერ კიდევ მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ნორმების ჩაბარებაში“.

(საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXV კონფერენციის ანგარიშიდან).

დღევანდელ წერილში ცურვაზე გვექნება ლაპარაკი. დავიწყოთ იმით, რომ ბევრ ქვეყანაში კარგა ხანია ცურვას პატარაობიდანვე ასწავლიან. საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში საბავშვო ბაღებთან და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ააგეს სასწავლო აუზები და საჭყუმპალაოები. ბევრგან ეს საქმე უფრო შორს წავიდა — ცურვის სპეციალიზებული კლასებიც შეიქმნა. ჩვენი რესპუბლიკა კი აშკარად ჩამორჩება. წლიდან წლამდე თავს დაპირებებით ვიმშვიდებდით. მედლესვალიე კაცივით ბევრჯერ მოგვადგა კარს თოვლი, მაგრამ საქმე წინ არ წასულა. უნდა ვაღიაროთ სიმართლე: მოქმედი საცურაო აუზების რიცხვით საქართველო ერთერთ ბოლო ადგილზეა სსრ კავშირში. ცურვის მასობრივად სწავლებისთვის საჭიროა ადგილებზე არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. მშდ კომპლექსი აგერ უკვე ორი წელია დაინერგა, რეზერვები კი ჯერაც არ აგვიმოქმედებია. რაიონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ მხრივ თბილისშიც მძიმე მდგომარეობაა.

კიროვის რაიონში, 65-ე სკოლის ეზოში, ორი ათეული წლის წინათ აუგიათ წყლის რეზერვუარი (ახლა იგი ნორჩ ნატურალისტთა საქალაქო სადგურს ეკუთვნის), მაგრამ სარწყავად მას იშვიათად იყენებენ. ცხადია, ცურვის სწავლებისთვის ყველა რეზერვუარი არ არის გამოსადეგი, მაგრამ ამ წყალსაცავს სწორედ საცურაო აუზის ფორმა აქვს (20×8 მ) და ყოველმხრივ უპასუხებს სასწავლო აუზის მოთხოვნებს, რაც, როგორც ჩანს, თავის დროზე გაუთვალისწინებიათ მშენებლებს. 65-ე სკოლის ყოფილმა მოსწავლემ გ. ჩაგულოვმა, რომელსაც იმ დღეს სკოლის ეზოში შევხვდით, დაგვიდასტურა, 1953-55 წლებში თანაკლასელებთან ერთად ცურვა სწორედ ამ წყალსაცავში შევისწავლეო.

უდავოა, რომ ახალი საცურაო აუზის მშენებლობა სიძნელეებთანაა დაკავშირებული. სახსრების გარდა გასათვალისწინებელია ბაზის ადგილმდებარეობა, თბილი წყლით მომარაგების შესაძლებლობა, შტატებით უზრუნველყოფა... ეს რეზერვუარი კი პირდაპირ სკოლის შენობას ებჯინება. აქვეა ბუნებრივ გაზზე მომუშავე სკოლის დიდი სიმძლავრის საქვაბე. ამ სკოლის მოსწავლეებს ამიერკავკასიის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს საწყლოსნო სახეობების ბავშვთა სპორტსკოლა უწევს შეფობას. ერთი სიტყვით, ყველა პრობლემა, რაც თავშივეა გასათვალისწინებელი, თითქმის უკვე მოგვარებულია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წყალსაცავი იქნება რაიონის პირველი საცურაო ბაზა, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობას და მუშა-მოსამსახურეთა მრავალათასიან არმიას ცურვის შესწავლისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების შესაძლებლობა მიეცემათ. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ადვილად გადაიდგმება პირველი პრაქტიკული ნაბიჯიც რესპუბლიკაში ცურვის სპეციალიზებული კლასების შექმნის გზაზე. წყალსაცავის საცურაო აუზად გამოყენებით დაინტერესებულია თვით ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დირექტორი, სპორტის თავგამოდებული ქომაგი გ. თავაძე. აქ ყოველწლიურად ეწყობა პიონერული ბანაკი და ზაფხულობით ქალაქში დარჩენილ მოსწავლეებს აუზი დიდ დახმარებას გაუწევს ცურვის შესწავლაში.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უთუოდ წამოიჭრება: რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად და ვინ უნდა ითავოს ეს საქმე?

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ წყალსაცავის კეთილმოწყობაში თავის წვლილს შეიტანს 65-ე სკოლის საშეფო ორგანიზაცია — თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისი“, ხოლო თუ საჭირო გახდა, რაიონის სხვა ორგანიზაციებიც გამოიღებენ ხელს. უნდა გავითვალისწინოთ რაიონის შემოსავლის ჭარბი სახსრებიც, რომელთა გამოყენებითაც ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ იყო განზრახული საცურაო აუზის აგება.

როგორც ხედავთ, იდეა დროულია, ახლა მხოლოდ საკითხის პრაქტიკულად მოგვარებაა საჭირო.

თ. გაჩეჩილაძე.

• • •

სურათზე: ასეთია რეზერვუარის ხედი დღეს.

ავტორის ფოტო.



# საერთო ძალით

### კომკავშირი და ფიზკულტურა

გულრიფშის კომკავშირის რაიკომი, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის. ეს დადგენილებები მიზნად ისახავს ახალგაზრდობაში მშდ კომპლექსის ფართოდ დანერგვას და, რაც მთავარია, სპორტის მასობრიობას.

ამ მხრივ რაიონში ბევრი რამ კეთდება ყველა ორგანიზაციაში ჩამოყალიბებულია ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოები, არჩეულია მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები სპეციალური კომისიები. კომკავშირის რაიკომი ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტთან ერთად სისტემატურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფიზკულტურის მასობრიობის, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისთვის. ამ საკითხთა განზოგადებას მიეძღვნა რაიონის კომკავშირელთა აქტივის კრება და პლენუმი.

კომკავშირის რაიკომმა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა რამდენჯერმე მოაწყვეს შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩასაბარებლად. ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის მაღალი დონის შედეგია, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა რიცხვი რაიონში თანდათან იზრდება. ნორმატივების ჩაბარების პერიოდში კეთილმოწყობილია 2 სტადიონი და 12 სარბენი ბილიკი, ჩატარებულია 3 სპორტული ზეიმი და 5 ტურისტული ლაშქრობა 4269 კაცის მონაწილეობით.

რაიონული სტამბის, მაჭრის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობისა და გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს დიდხანს ემახსოვრებათ ამას წინათ კომკავშირის რაიკომის თაოსნობით მოწყობილი სამდღიანი ტურისტული ლაშქრობა ამტყელის ტბაზე.

სოფლად ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისთვის, მშდ კომპლექსის ფართოდ დანერგვისთვის ნაყოფიერად მუშაობენ გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის, რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს, კოდორის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის, გულრიფშის კიროვისა და დრანდის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები და ფიზკულტურის კოლექტივები.

ამ ორგანიზაციებში დიდი ხანია ტრადიციად იქცა ფიზკულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა ჩატარება, სამატჩო შეხვედრები მეზობელ კოლექტივებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია შაუმიანოვკელი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების თაოსნობა. მას შემდეგ, რაც სოფლის ახალგაზრდობის წინამძღოლი სპორტული საქმის ენთუზიასტი კ. მინოსიანი გახდა, მუშაობა გამოცოცხლდა. სპორტული მშენებლობების მოთავენი თვითონ სოფლის სპორტსმენები და კომკავშირელები არიან. შრომისგან თავისუფალ დროს ისინი უანგაროდ მუშაობენ ბაზის მშენებლობაზე.

სპორტის მასობრიობას ხელს უწყობს ისიც, რომ რაიკომი ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად იბრძვის მოსწავლეთა სპარტაკიადების სანიმუშოდ ჩატარებისთვის. ბოლო სპარტაკიადამ, რომლის პროგრამაშიც 7 სახეობა შედიოდა, ბევრი ნიჭიერი ნორჩი ფიზკულტურელი გამოავლინა. კარგად იასპარეზეს დრანდის, ბაბუშარის, გულრიფშის, მერხეულის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

მშდ-ს ახალი ნორმატივების ჩაბარებაში კარგ შედეგებს მიაღწიეს გულრიფშის რუსთაველის, დრანდის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობათა და კოდორის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა.

წარმატებები უფრო საგრძნობი იქნებოდა, რაიონში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად უკეთესი პირობები რომ არსებობდეს. განსაკუთრებით უშლით ხელს ბაზების უქონლობა. მაგალითად, ცურვასა და სროლაში ნორმატივების ჩაბარებას სწორედ უბაზობა აფერხებს. ბავშვთა და მოზარდთა რაიონული სპორტული სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ბაზების ხარჯზეა გახსნილი, რაც ხელს უშლის ამ სკოლებში არსებული სექციების მეცადინეობათა ნორმალურად ჩატარებას.

სიძნელეების მიუხედავად, რაიონის კომკავშირელი ახალგაზრდები წარმატებით იბრძვიან ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვისთვის, სპორტის კიდევ უფრო მეტი მასობრიობისთვის.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

# სოციალისტური შეჯიბრების მადლი

„განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ მეცხრე ხუთწლედის პირველსავე წლებში ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება საოლქო, საქალაქო, სარაიონო, რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებათა, სამშენებლო ორგანიზაციათა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

სოციალისტური შეჯიბრება მიზნად ისახავდა მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლებას, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას, არსებული ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად გამტკიცებას.

ჩვენ მოწმენი ვიყავით, როგორ იზრდებოდა წლიდან-წლამდე სოციალისტური შეჯიბრების როლი, რა გასაქანი ჰპოვა მან ფიზკულტურულ კოლექტივებში, საამქროებში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში ამ საქმეში ერთგვარი ფორმალიზმის ნიშნებიც იგრძნობოდა, რისი მთავარი მიზეზიც სოციალისტური შეჯიბრების სუსტი პროპაგანდა და საჯაროობის დაბალი დონე იყო. არ გამოდიოდა საინფორმაციო ბიულეტენები, რომელთა საშუალებითაც ჩვენი ორგანიზაციები გაეცნობოდნენ შეჯიბრების მიმდინარეობას, მის შედეგებს, ეფექტიანობას, არ იყენებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული საუკეთესო მიღწევებისთვის მორალური და მატერიალური წახალისება-სტიმულირების ფორმებს.

გადავხედეთ რა ამ მხრივ ჩვენს მუშაობას, ცენტრალურმა საბჭომ 1972 წლის ბოლოს სოციალისტური შეჯიბრების დებულებაში შეიტანა მთელი რიგი შესწორებანი, რაც ნაკარნახევი იყო რესპუბლიკური და საქალაქო კონფერენციების მიერ. დაიწყო გამოშვება ცენტრალური საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენებისა, რომლებშიც ვაშუქებდით სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს „განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მდგარ ამოცანებს, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმდინარეობას და ა. შ. საზოგადოების საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბჭოებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდა გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები. გაცილებით ამაღლდა სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობის დონე, რამაც განაპირობა მისი დიდი ეფექტურობა.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას. საგრძნობლად გაიზარდა „განთიადის“ წევრთა და ფიზკულტურელთა რაოდენობა, გაფართოვდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი, იმატა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაბმულთა რიცხვმა. ყოველივე ამან განაპირობა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების ძირითადი მაჩვენებლების ხარისხიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ჩვენს ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მიზნად ისახავს მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების კომპლექსის ძირითადი ფორმების განვითარებას, განსაკუთრებით კი საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას, რომელიც ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურეთა შრომისნაყოფიერების განუხრელ ზრდას.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგია, რომ თბილისის წინდების ფაბრიკის ფიზკულტურულმა კოლექტივმა კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, გახშირდა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. საგრძნობლად ამაღლდა საწარმოო ტანვარჯიშის ხარისხი, ამოქმედდა საერთო ფიზიკური მომზადების სექციები, დიდი ყურადღება დაეთმო მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას ფიზიკურ კულტურასა და სპორტში.

ფაბრიკის თითქმის ყველა ფიზკულტურელი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. მაგალითად, ამ მხრივ მოწინავენი არიან: მძლეოსნები ც. ქსოვრელი, რ. თეთრუაშვილი, ლ. ბონდარენკო, პირველთანრიგოსანი მოჭიდავე შ. გელაძე, ფრენბურთელები — გ. ჩერიკოვა, ე. გიფულინა, ლ. მიგრიაული და სხვ. ისინი საწარმოო გეგმებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ფიზკულტურელთა თავდადებულმა შრომამ გარკვეული წვლილი შეიტანა ფაბრიკის მიერ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებაში.

სპორტულ კლუბებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტული კლუბი „განთიადი“ დღეს მოწინავეა არამარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

ამ კოლექტივში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტი.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მიერ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, თბილისის სატელეგრაფო აპარატების ქარხნის, თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“, მაუდ-კამვოლის კომბინატის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნისა და ქარხანა „ცენტროლიტის“ კოლექტივებმა. კარგი მაჩვენებლები აქვთ ბათუმის, ფოთის, ზესტაფონის, სამტრედიის, ტყიბულის, ცხაკაიას და სხვა რაიონულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

ფიზკულტურული ორგანიზაციები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ დანერგვითა და მისი შემდგომი განვითარებით მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, გამსაზღვრელ წელს ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების ყველა ძირითად მაჩვენებელს, წარმატებებს მოიპოვებენ როგორც სპორტში, ისე შრომაში.

ტ. კიკნაველიძე,
სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პროფსაბჭოში

● ●

# გულგრილობის სავალალო შედეგი

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭომ იმსჯელა ჟინვალჰესის მშენებლობის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ჩაშლილია. მშენებლობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო (თავმჯდომარე ი. როშნიაშვილი) მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი საქმიანობის ფართოდ გაშლისთვის არაფერს აკეთებს, არ ეწყობა შეჯიბრებები, სასწავლო-სპორტული მუშაობა უყურადღებოდაა მიტოვებული, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისა და რეგულარულად ჩატარებისთვის არ ზრუნავენ. დღემდე ვერ შეუგნიათ მშდ კომპლექსის მნიშვნელობა. დირექციასა და პროფორგანიზაციას ჯერ არ გამოუციათ ბრძანება მშენებლებს შორის მშდ კომპლექსის დანერგვის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ. ეს კომპლექსი სსრ კავშირში უკვე მესამე წელია მოქმედებს, მაგრამ ჟინვალჰესში ერთი ნიშნოსანიც არ მომზადებულა.

მშენებელთა ფიზკულტურულ კოლექტივში ასეთი სავალალო მდგომარეობა არ იქნებოდა, ადგილობრივი მშენკომი (თავმჯდომარე ი. გამთენაძე) კოლექტივის საბჭოს საქმიანობას სათანადო კონტროლსა და დახმარებას რომ უწევდეს. პროფკავშირულ ორგანიზაციას მშენებლობაზე მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ ერთხელაც არ უმსჯელია.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ისიც აღნიშნა, რომ მშენებლობის ხელმძღვანელობა (უფროსი დ. ქყონია) არ ზრუნავს მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის გაშლისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. მშენებლობის ერთადერთი სპორტული მოედნის რემონტი შეუწყნარებლად დიდხანს ჭიანურდება. კოლექტივში აღრიცხული არა აქვთ სპორტული ფორმები და ინვენტარი, დირექცია არ ასრულებს პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებას საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის შტატის შექმნისა და ამ თანამდებობაზე სპეციალისტის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ჟინვალჰესის მშენებლობაზე ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისთვის უსაყვედურა ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს და მდგომარეობის გამოსწორებისთვის მიიღო სათანადო დადგენილება. ეს დადგენილება ჟინვალჰესის მშენებლობის ხელმძღვანელობას, პროფკავშირულ ორგანიზაციას ავალებს დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისთვის და კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად იბრძოლონ მათი ცხოვრებაში გატარებისთვის.

ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს (თავმჯდომარე დ. ბაკურაძე) დაევალა ყველაფერი გააკეთოს, რათა ჟინვალჰესის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ მეტი იზრუნოს მშენებელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის უკეთ განვითარებისთვის, გამაჯანსაღებელი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისთვის, მშდ კომპლექსის ღონისძიებათა გატარებისთვის. მშენებლობის ადმინისტრაციასთან ერთად მოკლე დროში უნდა გადაწყდეს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის შტატის შემოღების საკითხიც.

„განთიადის" ცენტრალურ საბჭოს დაევალა გააძლიეროს ფიზკულტურის კოლექტივისადმი პრაქტიკული დახმარება, ხელი შეუწყოს მშენებლობაზე ბაზების მოწყობას, სპორტულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებას.

## საქართველოს 1974 წლის ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონები სათხილამურო სპორტში



ნ. ბალაშვილი ს. ნასყიდაშვილი ჭ. წაქაძე ა. სტეპანიანი გ. ჯიჩოევი ყ. ლალიევი ო. დიაკონაშვილი ა. მოროზოვი



# ბიმბა შედეგით კმაყოფილია

თბილისი. სპორტის სასახლე. 12 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 70:77 (25:39).

„დინამო": პულავსკი (18), ქორქია (16), ჯგერენაია (12), ბოლქვაძე (10), ძიძიგური (6), ჩიხლაძე (6), ჩხიკვაძე (2), ბიჭიაშვილი.

„ჟალგირისი": იურკშაიტისი (28), პაულაუსკასი (10), ვენზბერგასი (10), ჟუკაუსკასი (9), ლინკიავიჩუსი (8), შიდლაუსკასი (8), ჟუკაიტისი (4), მისიუნასი.

მსაჯები: ლ. არსლანოვი (ყაზანი) და მ. კრიჩევსკი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 60:65 (25:36).

მატჩის შედეგით კაუნასელები, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყვნენ. ამიტომ გუნდის უფროს მწვრთნელ ვ. ბიმბასთან მისვლა და საუბარი არ გაგვჭირვებია:

● **რას იტყვით მატჩის შედეგზე?**

— ჩვენთვის ეს ქულა ჰაერივით საჭირო იყო. ჩვენ კიდევ გვჭირდება ქულები უმაღლეს ლიგაში დასარჩენად. გუნდის მთავარი ამოცანა მოცემულ ეტაპზე სწორედ ესაა. მაგრამ ქულებს უმაღლეს ლიგაში, როგორც ხედავთ, არ არიგებენ. ამიტომაც ყოველ მატჩში მთელი ძალის დაძაბვა გვიხდება, ეს კი, თავის მხრივ, დიდ ფიზიკურ და ნერვულ დაძაბულობას მოითხოვს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გაძლებენ თუ არა ბიჭები ჩემპიონატის ბოლომდე.

● **რით არის გამოწვეული „ჟალგირისის" ესოდენ უთანაბრო თამაში წლეულს?**

— ეს საკმაოდ ვრცელი თემაა, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი. სხვა ბევრ მიზეზს შორის ერთ-ერთი უმთავრესია გუნდიდან რამდენიმე გამოცდილი კალათბურთელის წასვლა. ყველაზე მეტად პატკაუსკასი დაგვაკლდა. სეზონის დასაწყისში არც პაულაუსკასი თამაშობდა, მაგრამ, როცა გუნდი აშკარა კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, იგი დაუბრუნდა კალათბურთს. ამან ჩვენ ცოტა წელში გაგვმართა, მაგრამ მდგომარეობა საბოლოოდ მაინც ვერ გამოვაკეთეთ.

● **არის თუ არა რეალური პერსპექტივა იმისა, რომ „ჟალგირისი" აღდგება თავის ძველ უფლებებში?**

— ერთადერთ პერსპექტივას მე ნიჭიერ ახალგაზრდებში ვხედავ. მათი რიცხვი გუნდში არც ისე მცირეა, მაგრამ იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა ღირსეულად შეცვალონ ვეტერანები, დროა საჭირო. დრო კი, როგორც ხედავთ, არ ითმენს.

● **რას იტყვით ამ მატჩის თაობაზე?**

— პირველ ყოვლისა იმას, რომ თბილისელებთან ბარიბარში ვართ. კაუნასში ჩვენ დავკარგეთ ქულა, თბილისში კი — თქვენებმა, თუმცა ამ შეხვედრის წაგებაც საკმაოდ იოლად შეიძლებოდა. დინამოელთა მარცხის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ისაა, რომ მათ ვერაფერი მოუხერხეს იურკშაიტისს, გარდა ამისა, ალბათ შეამჩნიეთ, რომ ამ მატჩში თქვენებმა ბევრი საჯარიმო სროლა გააფუჭეს. ჯარიმის გამოყენება კალათბურთში ბევრს ნიშნავს. დაითვალეთ, რამდენი ბურთი არ ჩავარდა ჩვენს კალათში, არადა ანგარიშში სხვაობა ხომ 7 ქულაზე მეტი არ იყო? გულახდილად უნდა ვთქვა ისიც, რომ საკანდელიძის არყოფნამ თბილისელთა შეტევებს დაუკარგა მიზანსწრაფვა და სიმწვავე. რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, არ ვიცი, ის კი ცხადია, რომ საკანდელიძის გარეშე თამაში საგრძნობლად გაგიჭირდებათ.

ბიმბას ახალი არაფერი უთქვამს. ჩვენც კარგად ვიცით, რომ საჯარიმო სროლას კალათბურთში გამოყენება უნდა. ისიც ვიცით, რომ, თუ გუნდი ტემპით თამაშობს, უთუოდ წარმატებას აღწევს, თუ არა და, როგორც იტყვიან, თავის თავს ვერ პოულობს. ისიც ცნობილია, თუ რაოდენ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისია კოლექტივისთვის საკანდელიძის არყოფნა. თბილისელებს კიდევ რამდენიმე მატჩი აქვთ შინ ჩასატარებელი. იმედია, ისინი ამჯერად მაინც ყურად იღებენ აქ გამოთქმულ მცირე შენიშვნებს.

ნ. გუგუშვილი.

## გამოტოვებული მატჩი

გუშინწინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ერთი გამოტოვებული მატჩი.

კიევში ადგილობრივმა არმიელებმა ლენინგრადის „სპარტაკს" უმასპინძლეს. დაძაბული ბრძოლა ნევისპირელებმა მოიგეს — 75:70.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 13 | 1 | 1274—1094 | 13 |
| „სპარტაკი" | 14 | 12 | 2 | 1038—907 | 12 |
| „კალევი" | 14 | 9 | 5 | 1101—1023 | 9 |
| „სტროიტ." | 14 | 8 | 6 | 1156—1098 | 8 |
| „დინ." (მ.) | 14 | 7 | 7 | 1111—1101 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 7 | 9 | 1210—1237 | 7 |
| რტი | 14 | 5 | 9 | 981—1106 | 5 |
| „ჟალგირ." | 14 | 4 | 10 | 1035—1068 | 4 |
| ასკ (რიგა) | 15 | 4 | 11 | 1119—1258 | 4 |
| ასკ (კიევი) | 15 | 3 | 12 | 1093—1226 | 3 |

# ტტტ უახლოვდება ლიდერებს

კიევი, 12 თებერვალი. დღეს აქ გაიმართა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

ლიდერებმა კვლავ თითო ქულა მიიღეს. ლენინგრადის „სპარტაკმა" დაამარცხა მოსკოვის ოლქის თანაკლუბელები — 66:51, „ურალმაშმა" — ფრუნზეს „სტროიტელი" — 75:58.

ნელ-ნელა უახლოვდება ლიდერებს ტტტ. დღეს მან კიდევ ერთი მატჩი მოიგო — მოსკოვის „სერპ ი მოლოტთან" — 85:69.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 62:63, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 57:62, „დინამო" (კიევი) — „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) 82:77.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრ.) | 18 | 16 | 2 | 1179—894 | 16 |
| „ურალ." | 18 | 15 | 3 | 1131—985 | 15 |
| „სპარტაკი" (მ. ოლქი) | 18 | 13 | 5 | 1183—1139 | 13 |
| „დინ." (კ.) | 18 | 11 | 7 | 1188—1118 | 11 |
| ტტტ (რიგა) | 17 | 10 | 7 | 1075—1012 | 10 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 10 | 8 | 1147—1041 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) | 18 | 9 | 9 | 1125—1119 | 9 |
| „კიბირკშტისი" (ვილნ.) | 18 | 8 | 10 | 1059—1113 | 8 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 4 | 13 | 933—1030 | 4 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 18 | 4 | 14 | 995—1123 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინ.) | 18 | 4 | 14 | 955—1165 | 4 |
| „სტროიტელი" (ფრუნზე) | 18 | 3 | 15 | 1015—1246 | 3 |

# პრეტენდენტთა მატჩები

**პეტროსიანი — კორჩნოი 2:1**

პალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). სამშაბათს აქ გაიმართა პეტროსიან — პორტიშის მატჩის XI პარტია, რომელშიც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა.

შეხვედრა საინტერესო თამაშის შემდეგ, მე-19 სვლაზე, ყაიმით დამთავრდა. ეს მეტოქეთა მერვე ყაიმია,

XII პარტია დღეს შედგება,

# პირველი საკონტროლო

სოხუმი, 12 თებერვალი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ადგილობრივი „დინამოს" სტადიონზე შედგა საკონტროლო მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" ფეხბურთელთა შორის.

ქუთაისელთათვის ეს პირველი საკონტროლო თამაში იყო, მაშინ როცა სსრ კავშირის ექსჩემპიონმა უკვე მოასწრო 6 ასეთი შეხვედრის ჩატარება. თამაში თავიდანვე მაღალ ტემპში, ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. ქუთაისელთაგან დაცვაში თავი გამოიჩინეს ჰოხონელიძემ და ქუთათელაძემ, ხოლო შუა მინდორში—შელიამ. აღსანიშნავია, რომ ვოროშილოვგრადელები ხშირად უხეშობდნენ, რის გამოც ტრავმები მიიღეს და გუნდის რიგებს გამოაკლდნენ ხერხაძე და ქუთათელაძე.

ქუთაისელებს მიეცათ ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა, კერძოდ, გოლის გატანა შეეძლოთ შელიას, ფესტვენიძეს, გაგუას. კარგი მომენტი ჰქონდა ვოროშილოვგრადელ კუზნეცოვს, მაგრამ მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი აიღო მეკარე გრძელიშვილმა.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ტორპედოელთა კარში 26-ე წუთზე პავლოვის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: „ზარია" — ფორკაში, პინჩუკი, მალიგინი, აბრამოვი, გრიგორიევი, შაკუნი, კუზნეცოვი, ბელოუსოვი, ელისეევი, კუკსოვი (პავლოვი), სულჩინი; „ტორპედო" — გრძელიშვილი, აზნიაიძე (ჯანგველაძე), ქუთათელაძე (სილაგაძე), ბერულავა, ჰოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ფარულავა (გაბიჩვაძე), შელია, ფესტვენიძე (ქვირია), ხერხაძე (შენგელია), გაგუა.

ლ. ფაჩუაშვილი.

## ს. სტენსენი — მსოფლიო ჩემპიონი

ინცელი, 12 თებერვალი. გფრ-ის ამ ქალაქში დამთავრდა მოციგურავე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. ყველაზე მოკლე დისტანციაზე — 500 მეტრზე — ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა იაპონელი ქ. სუძუკი — 40,00, 5 კილომეტრზე რბენა მოიგო ნორვეგიელმა ს. სტენსენმა — 7.23,55. 1500 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა ჰოლანდიელმა ვან ჰელდენმა — 2.01,90, 10.000 მეტრზე შეჯიბრებაში ისევ სტენსენი იყო უძლიერესი.

მრავალჭიდის ჯამში 173,150 ქულით I ადგილი დაიკავა სტენსენმა. მეორე იყო ჰ. კოიპერსი (ჰოლანდია) — 173,305, მესამე — გ. კლასონი (შვეცია) — 174,763. საბჭოთა სპორტსმენი ა. ციგანკოვი IV ადგილზე დარჩა — 175,019.



# სპორტული ცხაკაია

დამთავრდა მოსწავლეთა გუნდური პირველობა ჭადრაკში. თითოეულ გუნდში 2 გოგონა და 5 ჭაბუკი იყო. ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა ცხაკაიას 1-ელი საშუალო სკოლის გუნდმა (ნანა ჩხეტია, მაია ქითავა, რ. ჩხეტია, გ. ჩაჩიბაია, ი. მურღულია, მ. ჯღამაძე, ზ. ხოფერია).

• • •

ამას წინათ გაიმართა სამტრედიისა და ცხაკაიას სპორტსკოლების ამხანაგური მატჩი კლასიკურ ჭიდაობაში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:4. გამარჯვება იზეიმეს: ცხაკაიელებიდან — ჯ. ხუხიამ, ა. დავითაიამ, ბ. ყურაშვილმა, გ. მაკალათიამ, თ. ზამთარაიამ, გ. ლუხავამ; სამტრედიელებიდან — ე. ფხაკაძემ, თ. ჭანჭალიამ, რ. მხეიძემ, დ. ნიკურაძემ.

• • •

ჩატარდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. სარბიელზე 61 მოსწავლე გამოვიდა. პირველობა არავის დაუთმო ცხაკაიას 1-ელი საშუალო სკოლის გუნდმა (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. ჯოჯუა), რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ს. კინტირია, თ. მახტაძე, თ. მელაძე, ბ. ბარკალაია, გ. მაკალათია, თ. ჭანტურია, დ. ფარღალავა, გ. ლუხავა, ლ. გოგოლი, ზ. სანიკიძე, ზ. ჩიქოვანი. II ადგილი დაიკავა რკინიგზის საშუალო სკოლა-ინტერნატმა, III — ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლამ.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

# რაიონებში სპორტის ამბები

## ზესტაფონი

სოფელ ცხრაწყაროს საშუალო სკოლის პირველობაში 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა IX კლასის მოსწავლემ ვ. გაბრიჩიძემ — 11,5 ქულა.

• • •

აქ დამთავრდა რაიონის მოჭადრაკე გოგონათა პირველობა, რომელშიც 9 მოსწავლე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. ხუსკილაძემ — 7,5 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ამავე სკოლის მოსწავლეებმა ქ. ხუსკივაძემ და ი. კუბლაშვილმა — 6-6.

ა. განუგრავა.

## კასპი

საჭადრაკო კლუბში დამთავრდა რაიონის ვაჟთა პირველობა, რომელშიც 16 კაცი მონაწილეობდა. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა კასპის პოლიკლინიკის ექიმმა რ. თოფურიამ. II ადგილი დაიკავა კასპის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა ვ. პავლიაშვილმა, III — „კოლმეურნის“ კასპის რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. ოთარაშვილმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

# ტელეტაიპი

ნიუ იორკი, 12 თებერვალი. მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში ეთიოპიელმა მ. იიფტერმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი დარბაზებისთვის. მან 5 კილომეტრის გარბენას 13.34,2 მოანდომა. ძველი მიღწევა, რომელიც 11 წამით გაუმჯობესდა, ეკუთვნოდა საბჭოთა სპორტსმენს ვ. ალანოვს.

# პროფესიონალებს შორის

ეს ცნობა ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.

ამ თვენახევრის წინათ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართა პროფესიონალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონებმა, პრიზიორებმა, სხვა ცნობილმა სპორტსმენებმა. მათ შორის იყო სახელგანთქმული საბჭოთა წყვილიც — ლიუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი. როგორც იცით, ისინი ახლა ლენინგრადის ბალეტში გამოდიან და ფიგურული ციგურაობა უკვე მათი პროფესიაა. საბჭოთა დუეტმა შესანიშნავად იასპარეზა და 154,44 ქულით I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდნენ დასავლეთგერმანელი სპორტსმენები ალმუტ ლემანი და ჰერბერტ ვიზინგერი — 137,56 ქულა.

ქალთა შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზა ცნობილმა ამერიკელმა სპორტსმენმა ჯანეტ ლინმა, რომელიც პირველი სეზონია, რაც პროფესიონალთა შეჯიბრებებში გამოდის. სავალდებულო პროგრამაში ჯანეტმა 73,98 ქულა დააგროვა, ნებისმიერში — 76,00, საბოლოო ჯამში კი 149,98 ქულით პირველი პრიზი — 6 ათასი გირვანქა სტერლინგი მოიგო. II ადგილზე გავიდა კანადელი სპორტსმენი კეტი ლი ირვინი — 141,88 ქულა. მესამე იყო ცნობილი მოციგურავე, უნგრელი ჟუჟა ალმაში — 135,26.

ვაჟთა ტურნირი რონალდ რობერტსონმა (აშშ) მოიგო. II-III ადგილებზე გავიდნენ კანადელები — დონალდ ჯეკსონი და დონალდ ნაიტი.

# საკუთარი ინფორმაცია

PRZEGLĄD SPORTOWY • Sport • SPORTSKE NOVOSTI • Népsport • sportowiec • Советский спорт

## ოთხთა ტურნირში

სპლიტში დამთავრდა ოთხთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ იუგოსლავიის პოპულარული კლუბები: „ცრვენა ზვეზდა“, „პარტიზანი“, „ჰაიდუკი“ და „დინამო“ (ზაგრები). ფინალურ მატჩში „ჰაიდუკმა“ დიდი ანგარიშით — 5:1 დაამარცხა „ცრვენა ზვეზდა“. III ადგილისთვის გამართულ მატჩში „პარტიზანმა“ სძლია „დინამოს“ — 2:1.

## გერსონი აღარ ითამაშებს

გამოჩენილმა ნახევარმცველმა გერსონმა, პელეს მსგავსად, უარი თქვა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე, თუმცა მიწვევა მიიღო. გერსონი ახლა 34 წლისაა და მაისში უთავდება ხელშეკრულება „ფლუმინენზესთან“. მან განაცხადა, ახალ ხელშეკრულებას აღარ დავდებ და თამაშს თავს დავანებებო. ეს ერთი მხრივ იმითაცაა გამოწვეული, რომ ხანგრძლივმა ტრავმამ საგრძნობლად იმოქმედა გერსონის სპორტულ ფორმაზე.

## ნაკრებიც და კლუბიც...

კ. გურსკი ბოლო წლებში დიდი წარმატებით ხელმძღვანელობს პოლონეთის ნაკრებს, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც გავიდა. გურსკის ამ ხნის მანძილზე არ მიუტოვებია ლოძის კლუბიც, რომელიც პოლონეთის პირველ ლიგაში გამოდის.



იმ 16 გუნდის მწვრთნელებს შორის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, გურსკი ერთადერთია, ვინც „ორ ფრონტზე“ იბრძვის.

## ბრწყინვალე კარიერა

თუ ვინმე შეიძლება კმაყოფილი იყოს თავისი საფეხბურთო კარიერით, მათ შორის ბულგარელი მანოლოვიცაა. 1951-62 წლებში იგი სოფიის ცსკა-ს შემადგენლობაში გამოდიოდა და ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის მედალი. ბულგარეთის ნაკრებში მანოლოვმა 57 მატჩი ითამაშა. ბოლო წლებში იგი სათავეში ჩაუდგა თავის ყოფილ კლუბს ცსკა-ს და ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ბულგარეთის ჩემპიონის წოდება. ერთი სიტყვით, მონოლოვის კარიერა როგორც მოთამაშის და მწვრთნელისა, ერთნაირად იღბლიანი გამოდგა.

# ობიექტივში მსოფლიო

## კარგად დააკვირდით!

ეს პოზა, რომელიც მარჯვე ფოტორეპორტიორს ფირზე აღუბეჭდავს, ერთი შეხედვით ჭიდაობის ილეთს უფრო მოგვაგონებს. მაგრამ, თუ კარგად დააკვირდებით, სურათზე მოკრივის ხელთათმანებსაც აღმოაჩენთ. დიახ, ეს მოკრივეთა შეჯიბრების მომენტია. ასეთ უჩვეულო პოზაში აღმოჩნდა იტალიელი ამანდო პატრონელი დანიელ კრისტიან ლარსენთან შეხვედრისას. ამანდო განუწყვეტლივ თავდაღუნული უტევდა, მერე უცებ გაიმართა წელში და ლარსენის მხარზე გადაკიდებული აღმოჩნდა.

## მხოლოდ საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ...



ყველა ავსტრალიელმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა, ვისაც სურს უმაღლესი კლასის ჩოგბურთელი გახდეს, საფუძვლიანი შემოწმება უნდა გაიაროს. „დიდი ჩოგბურთის“ კანდიდატთა ფიზიკური შესაძლებლობების დასადგენად გულდასმით მოწმდება მათი კანქვეშა ცხიმის სისქე, კუნთური ძალა ბურთის დარტყმის დროს და სხვ. შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარეა ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი ფრენკ პაიკი.

• • •

სურათზე: იუნიორი მიშელ პეკოვიჩი კანქვეშა ცხიმის სისქის შემოწმებისას.





# ბ. მ. შანიძე



საქართველოს სპორტსმენთა რიგებს გამოაკლდა სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ერთ-ერთი მოწინავე ოსტატი, თბილისის 1-ელი სახანძრო ნაწილის მუშაკი, შინაგანი სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი ბონდო მიხეილის ძე შანიძე. ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა სსრ კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი, საუკეთესო აღმზრდელი და მოქალაქე.

ბონდო შანიძე მუდამ ასანიშნავ მაგალითს აძლევდა პირად შემადგენლობას დასახული ამოცანების პირნათლად შესრულებაში. იგი მრავალჯერ იყო დაჯილდოებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელების მიერ.

გულისხმიერი, თავმდაბალი მოქალაქე და საუკეთესო სპორტსმენი — ასეთი ემახსოვრებათ ბონდო შანიძე მის მეგობრებსა და ამხანაგებს.

სახანძრო-გამოყენებითი სპორტის რესპუბლიკური ფედერაცია.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.